... The world is wrapped in flames... The war has been declared. I am going to the war as a nurse...

19 July, 1914

ნ. ჯორჯაძე

NINO JORJADZE

ჩემი ზეპირი.  
წინა ხეობა, სომხეთი,  
ფიქარი.  
ზეპირი.  
სარიკამიშ, კარს,  
ბეგლი-აკხეთ, სელიმი.  
1914 წლის ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი.  
1915 წლის იანვარი.

რაც მიფიქრია, გამიგონია და მინახავს ომში  
ჩანანერები

სარიყამიში, ყარსი, ბეგლი-აკჰეთი, სელიმი

1914 წლის ნოემბერი, დეკემბერი; 1915 წლის იანვარი

What I saw, heard and thought in the war

Memoirs

Sarikamish, Kars, Begli- Akhet, Selim

November, December, January, 1914; January, 1915

კავკასიის ფრონტი  
ნინო ჯორჯაძის ფოტოობიექტივში

The Caucasus Front  
Through Nino Jorjadze's Camera Lens

1914-1917





ფანჯირვენი  
ON THE SCOUT





ოფიცრები, 1914 წ.  
OFFICERS, 1914

1914 წ. 5 ნოემბერი, ტფილისი... ვაპირებ ომის თეატრზედ გამგზავრებას. - ...დღეს გრაფინიამ... წითელი ჯვრის რაზმთან ერთად სარიყამიშში გამგზავრება შემომთავაზა. (თუმც) ეს შემოთავაზება სრულიად მოულოდნელი გახლდათ, მაინც დავთანხმდი. ჩაბარება ორ საათში მომიხდა. რაზმი სასწრაფოდ გადიოდა.

5 November, 1914, Tiflis... Getting ready to go to the theatre of war. - ... Today the Duchess... offered to go to Sarikamish with the Red Cross detachment. [Although] this offer was quite unexpected for me, I still agreed. I had 2 hours to pack. The detachment was leaving urgently.



მონაწილეთა ფაზი, 1914 წ.  
SISTERS OF CHARITY, 1914

სწრაფად ჩავლაგდით და როგორც იქნა სადგურში ვართ. მივემგზავრებით ექვსი ექიმი და ექვსი მონაწილეთა და მდარეულობის ქვეშე ბარონ კნორინგისა (პრინც ოლდენბურგის რწმუნებულია კავკასიაში) და გრაფ გროხოლსკისა (წითელი ჯვრის რწმუნებული)...

*Having packed hastily, we have reached the station at last. We are 6 physicians and 6 sisters of charity under the patronage of Baron Knorring (Prince Oldenburg's representative in Caucasus) and Earl Grokholski (the Red Cross Commissioner)...*



სარკამიშის რაზმი  
სარკამიშის რაზმი

რაზმი ყარაქილისაში, 1914 წ.  
REGIMENT IN KARAKILISA, 1914

6 ნოემბერი, სარიყამიში. დილის 5.00 საათზე გრაფი გრ. გვალვიძებს – სარიყამიშია. 5.30 საათზე უკვე სამუშაოზე ვართ. სწრაფად ვხსნით სახვევებით სავსე ყუთებს, ამასობაში კი დაჭრილები მოჰყავთ ყოველი მხრიდან. ... მძიმე სიჩუმეა. ყველანი ვცდილობთ არ ვიხმაუროთ, ხმადაბლა ვილაპარაკოთ.

6 November, Sarikamish. At 5 o'clock in the morning Earl Gr. wakes us up –It's Sarikamish. At 5:30 we are already at our working places. We hastily open up dressing-boxes; meanwhile the wounded are flowing in from every corner. ... heavy silence. We are trying to keep quiet, speak in a low voice.



ყურთ-ღაღის ბრძოლების რეზერვი, 1914 წ.  
KURT-DAG MILITARY RESERVE, 1914

რაცნაირად უხერხულიც კია ამ დასახიჩრებულ ხალხში მყოფი ჯანმრთელად და ღონივრად გამოიყურებოდე. დაინყო გადახვევები. გაისმა პირველი თავშეკავებული, ყრუ კვნესა... როგორც ჩანს, ჯარისკაცს არა სურს თავისი ტანჯვა დაგვანახოს, ცდილობს ჩაიხშოს, მაგრამ რაგვარი სულისშემძვრელია ეს კვნესა, რამდენი ტანჯვა და სევდაა მასში. ღმერთო, რაც მე დღეს ვნახე! საშინელი სურათი მომისა!

*It is somehow embarrassing to feel healthy and strong among these maimed people. The dressing started, you could hear some choked, suppressed groans: it seems the soldier does not want to show his sufferings, trying to stifle them. But what heart-rending groans they were, how much suffering and grief is in them. Oh God, what I have seen today! What a horrible, shocking face of war!*



მთავარმმართველ გოლუბიოვისა  
და გენერალ ბერნოვის რაზმში  
ჩამოსვლა, 1914 წ.

THE ARRIVAL OF CHIEF EXECUTIVE OFFICERS GENERAL  
BERNOV AND GENERAL GOLUBIOV AT THE REGIMENT, 1914

ვერავითარი წიგნი და მონათხრობი, ვერანაირი წარმოსახვა გადმოსცემს ომის მთელ საშინელებას. ყაზარმის დიდ შენობაში ადამიანები წვანან სანოლებზე, სანოლებს ქვეშ, გასწვრივ და სწორად. ყოველი შემოსასვლელი და გასასვლელი გადაჭედილია. იმისათვის რომ გაიარო, დაჭრილებს უნდა გადააბიჯო. გარშემო სამარისებური სიჩუმეა. არც ერთი ამოკვნესა, არც ჩივილი, არც სინანული...

*No books, stories or imagination can convey all the horrors of the war. In a big barrack people are lying on, under, along and across the beds; all passages, exits and entrances are jammed; to go through, you have to literally step over them. Dead silence is around, not a single groan, complaint or regret...*



გენერალი თამაშაშვილი, 1914 წ.  
GENERAL TAMAMSHEV, 1914

საშინელი არეულობაა, აუნერელი სიბინძურე, სრული ანარქია. მეხუთე დღეა დაჭრილები გადაუხვეველნი წვანან. ბარონი ყველას ამუნათებს. განსაკუთრებით მოხვდა არდნა...-ს (პუნქტის უფროსი), რადგან თავმოუბმელია და შესახვევ მასალებს სათანადოდ ვერ აწვდის. ბარონი ბრძანებს, ერთ საათის განმავლობაში მოამზადონ ორი ახალი შესახვევი ოთახი. ამ ადამიანისათვის სიტყვა და საქმე ერთია. ჩვენც საქმეს შევუდექით.

*Terrible mess is everywhere, dirt, total anarchy; the wounded soldiers have been lying undressed for the fifth day. Baron is in rage. Ardna (the head of the medical aid station) fell into special disgrace as he failed to deliver dressing materials. Baron is giving orders to prepare two dressing wards in an hour. This is the person who does what he says. We are getting down to work.*





გენერალი თამამშვიძე და პროფესორი მიროტვორცევი, 1914 წ.  
 GENERAL TAMAMSHEV AND PROFESSOR MIROTVORTSEV, 1914

...სადილის შემდეგ ღამის 1.00 საათამდე ვმუშაობთ. ჩვენთანაა გამოცდილი ქირურგი კიმონტი. სასიამოვნოა მასთან მუშაობა. ის მკაცრი და ხისტია, მის ხელში საქმე დულს და გადადულს. სხვანი ქირურგები არც არიან. საერთოდ კი, ჩვენთან იმგვარად ანაწილებენ ექიმებს ჰოსპიტლებსა და ლაზარეთებში, რომ არც კი კითხულობენ რისი სპეციალისტები არიან. ამიტომ სრულიად შესაძლებელია, მეანი წინა ხაზზე მოხვდეს.

...After dinner we are working till 1a.m. A very experienced surgeon – Kimont is with us, it's a real pleasure working with him. He is strict and tough but he makes things hum. Others are not even surgeons. Generally the doctors are assigned to hospitals and infirmaries without even being interested in their profile. Often an obstetrician happens to work on the frontline.



1914 წ.  
1914

7 ნოემბერი. დღეს პირველად გადავუხვიე ტრილობა თურქს. არანაირი ზიზღის შეგრძნება არ მქონია. ვრ.-მ, ხომ არ გადაიღალეო. თუმცაღა, რომელ ფიზიკურ გადაღლილობაზეა საუბარი, როცა ადამიანს მორალური ტკივილი არ გასვენებს. ვის სჭირდება ეს სულისშემძვრელი, მდუმარე ტანჯვა?

7 November. Today I had to bandage the first Turkish man. I felt no distaste at all. Gr. is asking if I am tired. But who cares about physical tiredness when moral pain strangles you so much; why, who needs such appalling, dumb sufferings?



კარავები უფლებამოსილთათვის, 1914 წ.  
TENTS FOR OFFICERS-IN-CHARGE, 1914

9 ნოემბერი. ვეჩვევი დაჭრილი ადამიანების კვნესას... საველე ჰოსპიტალში გადავბარდით. ძლივს მოვიპოვე საწოლი. რა ხალხია! საევაკუაციო პუნქტზე ვმუშაობთ. 2.00 საათზე მთავარმა ექიმმა ვენცკოვსკიმ სადილზე მიგვინვია. ვავეშურეთ, მაგრამ მხოლოდ სკანდალის მომსწრენი ვავხდით. სადილს ვერეც ვერ ველირსეთ.

9 November. I am getting used to groans of the wounded... We have moved to the field hospital. I could hardly get myself a bed. What people! We were working on the evacuation post and at 2 o'clock arrived for dinner on the invitation of the senior hospital medical officer Ventskovsky. But we just ran into a scandal and got no dinner at all.



Командир 4<sup>го</sup> КОРПУСА КОРПУСА ИВАНОВ. Начальник штаба 4<sup>го</sup> КОРПУСА  
 ген. Мухоморовский | Мухоморовский | ген. Мухоморовский

მ-4 კორპუსის მეთაური გენერალი ოგანოვსკი,  
 პრაპორშჩიკი ლიულკა და მ-4 კორპუსის შტაბის უფროსი გენერალი მდივანი, 1914 წ.

COMMANDER OF THE 4<sup>th</sup> CORPSE GENERAL OGANOVSKI, WARRANT OFFICER LIULKA AND THE CHIEF  
 OF THE HEADQUARTERS OF THE 4<sup>th</sup> CORPSE, GENERAL MDIVANI, 1914

10 ნოემბერი. დღეს გამოგვიცხადეს, რომ წითელი ჯვრის რაზმის დახმარება არ სჭირდებათ. რა კენათ? აშკარაა, რომ სამხედრო უწყება არცთუ მეგობრულადაა განწყობილი წითელი ჯვრის მიმართ. ჩვენ აღარ ვჭირდებით, მაგრამ ამავდროულად ტფილისიდან ითხოვენ თორმეტ მონყალების დას. ეს როგორღა გავიგოთ!

10 November. Today they announced that they did not need any help of the Red Cross brigade. What shall we do? Apparently, military agency is not friends with the Red Cross. While rejecting us they require 12 sisters of charity from Tiflis at the same time. It's hard to understand!



## თოთაობხა იქონი

იურსის ღაღმა, 1914 წ.  
PUTTING UP THE YURT, 1914

...დღეს მოძღვარმა ტყვე პოდპორუჩიკთან წამიყვანა. თუბში იყო დაჭრილი. კუთხეში თოფიანი გუშაგი იდგა. ალბათ რა საშინელებაა მისთვის!.. ძალიან სიმპათიურია. დიდი, ლამაზი, ნაცრისფერი თვალები აქვს. არც უჭკუოა. ძალიან ფრთხილია. აზრის გამოხატვის თავისებური მანერა აქვს – მოკლე და გასაგები. მოძღვარი მას რელიგიაზე ელაპარაკებოდა, მე კი თარჯიმნობას ვუწევდი. როგორღაც სულელურად გამოდიოდა, უხერხულად.

...Today the Father took me to visit the wounded sub-lieutenant, the prisoner of war. An armed sentinel was standing in the corner. It must have been a horrible feeling for him!... very good looking, with beautiful, large, grey eyes. Not stupid at all, cautious. He has curious manner of speaking- clear and concise. Father talked to him about religion and I translated, which was sort of ridiculous, awkward.



მონაწილის და ნინო ჯორჯაძე, 1914 წ.  
SISTER OF CHARITY NINO JORJADZE, 1914

...მოძღვარი მეურნეობას განაგებდა და სალაროსთან წვდომას ბოროტად იყენებდა. საღამოობით მორჩილებასა და სიყვარულზე ქადაგებდა ჩემთან, შემდეგ კი შუალამემდე ერთ - ერთ დასთან ჩამოჯდებოდა ხოლმე. მისი ამბავი რაპორტამდე მივიდა და ჩვენს მოძღვარს დათა საცხოვრებელში შემოსვლა აკრძალა!

...Being in charge of managing supplies, the Father rather dishonestly disposed of cash. In the evenings he would preach me about humility and life, while he, himself would stay up late with one of the Sisters. Finally he was reported on that and was forbidden to enter the Sisters' dormitory!




მონაწილის და ნინო ჯორჯაძე რეცხავს  
თეთრეულს, 1914 წ.

SISTER OF CHARITY NINO JORJADZE WASHING  
BED SHEETS, 1914

11 ნოემბერი. ჩემი ფანჯრიდან მორგი ჩანს და ეს სევდიან ფიქრებს ამიშლის ხოლმე. ყოველ დღე მოსვენებენ მიტოვებულ, მართოხელა ჯარისკაცებს. რა უმსგავსობაა – მორგში 25 დაუკრძლავი გვამია. 12 უკვე მეორე კვირაა ასვენია. მესაფლავეები არსად ჩანან, ხალხი არ ჰყოფნით. ბარბაროსობაა, რომ დაღუპულს მისაგებელიც არ მიაგო.

11 November. My window overlooks the mortuary which brings melancholy. Every day the abandoned, lonely soldiers are brought. That's hideous. There are 25 unburied dead bodies in the mortuary. 12 of them have been lying there for two weeks now. No grave-diggers, not enough people. This is nothing else but barbarism not being able to pay a last tribute to the deceased.



სასადილო ქიუმ-ქიუმში, 1914 წ.  
DINING ROOM IN KIUM-KIUM, 1914

მაგრამ თუ მართლა არავინა ჰყავთ სამარის გამჭრელი, უბრალოდ, ხვდები, რომ ომის გარდაუვალი უბედურების ლოდქვემ ხარ მოყოლილი. უმრავლესობა ამ ომში სიკვდილს ზიზღით უყურებს. ესენი არიან გმირები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას არაფრად აგდებენ და შეუძლიათ ის - რაღაც დიადს ანაცვალონ.

*But if there is no one to bury them, you simply feel you are devastated by this fatal distress of the war. Most people scorn the death in the war. They are all heroes who defy their life in the name of something superior*





1914 წ.  
1914

16 ნოემბერი. ნივთების ასაღებად ტფილისში გავემგზავრე. ბარონთან ერთად ვბრუნდები. ასევე მიემგზავრება პროფესორი ოპელი – ქირურგი. ჩემს კუბეში შემოვიდა, პატარა გამოცდა მომიწყო. მომწონს მისი მშვიდი, თანაბარი ტონი. მგზავრებს შორისაა ვრ. შერემეთიევი, სათემო კავშირის წარმომადგენელი, რომელმაც მონინავე პოზიციები უნდა მოინახულოს და გაიგოს რაა საჭირო.

16 November. I went to Tiflis to collect my things. Now I'm coming back together with Baron. Professor Oppel, the surgeon, is travelling with us too. He entered my compartment and gave me a little test. I like his calm, even manner of speaking. Earl Sheremetiev, the representative of the county union, is also travelling with us to inspect the frontline and find out what's needed.



*Кара-Килиса. 2<sup>ой</sup> передовой отряд Красного Креста*

ყარაკილისა, წითელი ჯვრის მე-2 მოწინავე რაზმი, 1914 წ.  
KARAKILISA, THE RED CROSS 2<sup>nd</sup> ADVANCED DETACHMENT, 1914

სარიყამიშში ჩამოვედით საღამოს 9.00 საათზე. ყველა ჰოსპიტლების დასათვალიერებლად გაეშურა. 12.00 საათზე კუპეს კარზე შერემეტიევმა მომიკაკუნა, გამომშვიდობება უნდოდა. მე გაკვირვებული ვარ – და წინა ხაზი? – ყველაფერი ვნახე. ჰოსპიტლებში უწესრიგობაა, სარიყამიშში საუცხოო კლიმატია, ნარზანი 9 ვერსშია და ასე შემდეგ. იმავე ღამეს გაემგზავრა. აი ასე კეთდება საქმეები.

We all arrived in Sarikamish at 9 o'clock in the evening. Everybody went to look around the hospital. At 12 o'clock Sheremetiev is knocking on the compartment door to say goodbye. I'm rather surprised. – What about the frontline? – I've seen everything. The hospitals are a terrible mess, the climate in Sarikamish is splendid, Narzan is 9 versts away, etc. –He left the same night. – This is how things are done.



1914 წ.  
1914

17 ნოემბერი. პუნქტზე გაძლიერებული ლაგებაა, ბარონს ელიან. ქვემო ყაზარმებიდან გაიყვანეს ავადმყოფები. სა-  
წოლებს ახალი ზენრები გადავაფარეთ. გარშემო კრიალებს ყველაფერი. ამ დროს კი თითქოს განზრახ, მთავარი  
ექიმის ტკუაზე შესაცდენად, ბევრი დაჭრილი ერთად მოაწყდა აქაურობას. სად უნდა წაეყვანათ? არ დაიფრებთ  
და დალაგებულ ოთახებში ფეხიც არ შეადგმევინეს, ყველა ერთად შეყარეს მალლა, სადაც ისედაც სივიწროვე იყო.

17 November. The medical station is being cleaned; they are expecting the Baron. All the wounded were evacuated from  
lower barracks. We covered the beds with new bed sheets. Everything is clean and tidy. Suddenly, to the horror of the head  
physician, the wounded soldiers started to flow. Where to take them! Would you believe? They were not admitted into the  
tidied rooms and were shoved upstairs which was already overcrowded without them.



ლაშქრობის პირველი დღე, 1914 წ.  
THE FIRST DAY OF CAMPAIGN, 1914

ერთ სანოლზე რამდენიმე კაცი ერთად მოათავსეს და ისინიც ასე დაქანცულები და დამძიმებულები ელოდნენ თავიანთი კეთილისმყოფელი უფროსების წასვლას, რათა საცოდავებს ლოგინზე წამონოლის საშუალება მანც მისცემოდათ. წინასწარ გვიბრძანეს ახალი ზეწრები შეგვენახა.

*Several of them were sitting on one bed, exhausted waiting for their benefactors – the chiefs to leave, so that they could lie on beds. We had been ordered in advance to remove the new sheets.*



ექიმი ალექსანდროვის გასილუბა  
SEEING OFF DOCTOR ALEXANDROV

30 ნოემბერი. ველით ხელმწიფეს. პუნქტი მორთულია, მორეცხილი, განმენდილი. სანოლებს ახალი ზენრები და ახალი საბნები აფარია. როგორი დაცინვაა! ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სიმართლე მიჩქმალონ. დაჭრილები და ავადმყოფები ევაკუირებულები არიან. სურთ წესრიგით მოიწონონ თავი, უფროსობის თვალში გაიბრწყინონ, მაგრამ გეგმა ჩაუფლავდათ. ხელმწიფემ შეიტყო, რომ პუნქტზე დაჭრილები არ იყვნენ და შენობაში ფეხიც არ შემოუდგამს .

30 November. We are waiting for the Tsar. The medical station is decorated, cleaned and washed. The beds are covered with new sheets and blankets. Isn't it mockery! They do everything to hide the truth. The wounded and the sick have been evacuated; they want to parade their order and cleanliness, but the maneuver failed. The Tsar learned there were no wounded inside and he did not even wish to enter the building.



სულია შიხობჯაძე ყაჩაღი და ნაჯაღსა  
 ნონა იუჩიკოვს ბა ხანობისა.

მონაწილის ფა ნ. ჯორჯაძე მიემგზავრება კვების პუნქტში – ხანიკში  
 SISTER OF CHARITY N. JORJADZE IS LEAVING FOR THE MEAL STATION IN KHANIK

ის ხომ სანიტარული ინსპექტორი არაა. მას ჯარისკაცი აინტერესებს და არა საოპერაციო მაგიდა. პოლკოვნიკმა ლახოვსკიმ ექიმების განსწავლა და მათი მეთაურობა წამოიწყო. “როცა ვიტყვი: ბატონო ოფიცრებო, სმენა – მხედრულად მომესალმეთ”. მრავალრიცხოვანი რეპეტიციებისა და სამსაათიანი ლოდინის შემდეგ გაისმა – ხელმწიფე! ყველა შემოსასვლელს მიაჩერდა. ერთგვარი ძლეღვარება დაგვეუფლა.

Anyway, he is not the sanitation inspector, is he? He is interested in soldiers and not the operating table. Colonel Lakhovski started giving orders and instructing physicians. “When I say: officers, attention – render a salute”. After long rehearsals and 3 hours of waiting, we finally heard –the Tsar is coming! Everybody was looking at the entrance. We were taken by certain excitement.



გენერალი ნაზარბეგოვი  
და მამა დამასრინი  
GENERAL NAZARBEGOV AND FATHER DAMASRINE

გენ. *Назарбеков, отец Дамасрина.*

ექიმი გერმიდორი (ებრაელი) შემოდგომის ფოთოლივით თრთოდა, ისე აჰყლოდა ნერვებს. ნუთი საათად გვექცა. და უკებ გვესმის - დამშვიდდით - ჩვენი ბარონი აღმოჩნდა. ამბავი მოიტანა, ხელმწიფე მხოლოდ 4.00 საათისთვის მობრძანდებაო. 2.00 საათიდან კვლავ ადგილებზე ვართ. მეოცედ მესმის: "სმენა!" და კვლავაც ცრუ განგაშია. ამჯერად ინსპექტორი შელკოვსკი იყო.

*Doctor Hermidore (a Jew) was trembling like an autumn leaf, all nervous. A minute lasted forever. And suddenly we could hear – you can relax-it turned out to be our Baron. He brought us the news that the Tsar would come only at 4 o'clock. At 2 o'clock we are back to our places. I have heard the command "Stand at Attention!" at least 20 times and again false alarm. This time it was inspector Shelkovski.*



თათროსი. ნილსი პაყვანი ჯერონი  
სეუენ ხე პაიბი შილემბერ. ნილი,

მსროლელთა მე-8 პოლკი თბილი ტანსაცმლის დარიგების შემდეგ  
THE 8<sup>th</sup> INFANTRY PLATOON HAS BEEN GIVEN WARM CLOTHES

ხელმწიფე კი გვიან მოვიდა, დაღლილი სახე ჰქონდა - გასაოცარი სიმშვიდე სახეზე. დიადიც ხომ ის არის, ვინც ბრბოს შუაგულშიც კი საღი და მშვიდი რჩება. გამგზავრების ლამაზი სცენა. ხელმწიფე მარტო დგას ბაქანზე, თითქოს ქანდაკებააო. მატარებელი ნელა შორდება იქაურობას და ისმის აღტაცებული "ვაჰა".

The Tsar arrived late, looking weary. His face showed amazing serenity. He is great who can stay calm and sound among the crowd. Beautiful scene of departure. The Tsar is standing like a statue, alone on the platform. The train is slowly leaving the station under ecstatic "Hurray".





1914 წ.  
1914

12 დეკემბერი. ზანტად დავბოდილობთ პუნქტში. შემორბიან აღელვებული სანიტრები, ჩანს ჩვენი ჯარების ხაზი. დაიძრნენ: ისმის შორეული გუგუნი. ეს რა არის? ნუთუ თურქები ასე ახლოს არიან? დღის 11.00 საათზე მტრის უცნაური მოქმედებით ვიქცევდით თავს, მაგრამ დღისით აშკარად გამოიკვეთა ვითარების სერიოზულობა. მოხშირებულად ისმოდა ხმა თოფის სროლისა და მძიმედ ხმაურობდა ტყვიამფრქვევი.

12 December. We are wondering idly around the station. Warden men are running in excitement, the line of our army can be seen. They are moving. Some humming is heard remotely. What is it? Can they be the Turks so close? At 11 we were curiously watching the strange behavior of the enemy. But during the daytime it became clear how serious the situation was. The rattle of firearms and shooting were frequently heard.



მონყალეზის ღა ნინო ჯორჯაძე, 1914 წ.  
SISTER OF CHARITY NINO JORJADZE, 1914

მღელვარება და ომის სიახლოვით გამონეული შფოთი ყველას მოგვედო. გვინდოდა ჩვენს ქვემეხებს მალე ამოე-  
ლოთ ხმა. მაგრამ საიდან? სარიყამიში ხომ ჯარი არ დგას და იქ ერთი ქვემეხიც არაა. ვერავინ დაუხვდება. უცებ,  
ჩვენდა გასაოცრად გვესმის ქვემეხის ხმა. რა არის ეს, გავახსენდით? ნუთუ ლაშქარი გამოგვიგზავნეს? არ დაგ-  
ვინყებივართ. ეჰ! როგორც მერე გამოირკვა, სარიყამიში შესაკეთებლად მოთრეული ქვემეხი იყო.

*We were swept by the wave of nervous anxiety of the approaching war. We wanted to hear our cannons too. But where were they? There is not a single cannon, no army in Sarikamish. There is nobody to give battle. Suddenly, to our surprise, we could hear the cannon, what's this, have they remembered us? Have they sent the troops to us? We are not forgotten? But alas! As it turned out later, it was the cannon accidentally brought to Sarikamish for repairs.*



ჩივთლიქის მოსახლეობა — კურდები და სომხები, 1914 წ.  
POPULATION OF CHIVTLIK - KURDS AND ARMENIANS, 1914

ეს ის განთქმული ქვემეხია, რომელმაც სარიყამიში იხსნა, თურქების შემოტევა შეაჩერა. მისი გრუხუნი ყველგან გაისმა, ექომ მოიკვა მთებიც, სადაც ბრძოლა იყო გაჩაღებული. გასაოცარი, მთვარიანი ღამე, ფანტასტიური საღამო, მოხდენილად გაბნეულ ვარსკვლავებს ცა ლამაზად მოეხატათ. ეს სარიყამიშის ჩვეული საღამო იყო. უცქერ და ვერა ძლები.

*It is the famous cannon that saved Sarikamish and stopped the onslaught of the Turks. There was a peal all over the space echoing in the mountains where the battle was going on. Wonderful moonlit night, fantastic evening, the stars finely scattered in the sky, criss- crossed, drifting apart and running into one again making fanciful patterns. Just a usual picture of Sarikamish. You look and can't help admiring.*



ქართობიანი უსუნა ჩაქაჩა

სომხების ფაფის მომზადება  
COOKING THE WHEAT PORRIDGE

მაგრამ ამას ემატება ქვემხთა ზათქი. დგახარ მონუსხული საოცარი სანახაობით. იქნებ და ცაზე ირეკლება სხვა პლანეტების წითელი ალის ათინათი. გეჩვენება, რომ ცოტას გაივლი და ამ ფანტასტიურ ადგილსაც მიაღწევ. იქეთ ვეჭაჩება, მიწისქვეშა ელფების ღამის სამყაროსკენ. ღამის 3.00 საათამდე გრძელდებოდა ეს სიცოცხლე სინათლეებისა შორეულ ქვემხთა მოგუდული ვრუხინის მუსიკის თანხლებით.

*Added to it is the roll of ammunition. I'm standing enchanted by this wonderful sight. From some invisible points, maybe from another planet there is a reflection of flames glowing red. It seems you can walk and reach this fantastic place. The nocturnal world of underground fairies is luring you. This glimmer lasted till 3 o'clock in the morning accompanied by the music of muffled roll of cannons.*



დევნილები, 1914 წ.  
REFUGEES, 1914

3.00 საათზე მთვარე მიიმალა. ბრძოლა შეწყდა. გარშემო სრული სიბნელე და სამარისებული სიჩუმეა. ბურუსი ტყეებს ჩამოაწვა და გააქრო. მთელი ღამეა გადახვევები არ წყდება. დილით დაჭრილები უფრო ცოტანი არიან. მაგრამ იმის შიშით რომ თურქები კვლავ წამოვლენ, არ ვიშლებით. გვეგონა, ჩვენს გარდა, მრავალ ვერსზე არა-  
ავინ იყო.

*At 3 o'clock the moon disappeared. The battle stopped. Pitch darkness and dead silence set in around. The forests sank in the darkness. The dressing was going on all night. There are fewer wounded soldiers towards morning, but fearing the Turks, we stay together. It seemed there was nobody around for miles except us.*



ღივნილები, 1914 წ.  
REFUGEES, 1914

დილის 6.00 საათზე განახლდა ბრძოლა. რიჟრაჟი ძილისკენ გეჭაჩება, ცივა. ბოლოსდაბოლოს მიმავინცდა, რომ მონინალმდევისგან სულ რამდენიმე ვერსით ვართ დაშორებულები. 8.00 საათზე ტამაში მიბრძანებს, სახლში წავიდე, დავიბანო და მოვმავგრდე. დაქანცული მივევგდე საწოლზე. ჩემთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო და ღრმად ჩამეძინა.

*The battle resumed at 6 in the morning. You feel so sleepy, cold; finally you forget you're in a couple of miles away from the enemy. At 8 o'clock Tamash orders to go home, wash, and get refreshed. All worn out I could hardly get to my bed, nothing mattered anymore and I fell fast asleep.*



ღევილიაზი, 1914 წ.  
REFUGEES, 1914

13 დეკემბერი.. ნახევარ საათში წამოვვარდი. დები ჰირს იბანდნენ. მეც გამოვიფხიზლე თავი ცივი, ყინულიანი წყლით. ჩაის დასალევად ქვემოთ ჩავედი. ამასობაში მშვიდად და გულგრილად მუშაობდა არტილერია. ტამაშმა გვიხმო ანშტენი, აბრამოვი და მე. დებს წასვლა შესთავაზეს. ჩვენ დარჩენის სურვილი გამოვთქვი... აღზნებულ-ანერვიულებული ყველაფერს თვალს ადევნებ.

13 December. Half an hour later I jumped to my feet. Sisters were washing. I refreshed myself with ice-cold water and went down for a cup of tea. Meanwhile the artillery calmly and cold-bloodedly went on working. Tamash called Anshthen, Abramov and me. The Sisters were offered to leave. We said we wanted to stay... You're watching everything that's going on in nervous excitement.




ღივნილი, 1914 წ.  
REFUGEES, 1914

ამ ღამის განმავლობაში ჩვენ გამოვიწვრთენით, მოვლონიერდით და სრულიად გადაგვაგინყდა რომ იქ, შორს, ჩვენს ცხოვრებაში, ყველას საკუთარი პირადი ინტერესი გვექონდა. ბრძოლის საზღვარს აქეთ ცხოვრება არ არსებობს! საოცრად გასაგები გახდა იმ ცივ ღამეში ცხოვრების სწორედ ეს მხარე. დილიდან დაჭრილები გადაიყვანეს.

*During this night we built up strength having totally forgotten that somewhere, in the remote world we all had our own interests. There is no life beyond the battle! This particular side of life became evident with such an amazing plainness on that cold evening. The wounded soldiers were evacuated in the morning.*





ღევილიანი, 1914 წ.  
REFUGEES, 1914

13 დეკემბერი. მთელი სარიყამიში გარბის. ჩვენ გზის პირას ვცხოვრობთ და ვხედავთ ამ პანიკას. რა უსიამოვნო შეგრძნებაა. ცარიელი ფორნები და სატვირთოები, ქონების გადარჩენაც კი დავიწყებიათ. ცხენები მიჭენაობენ, ლაგამ-ალვირი ნაჩქარევად ამოუდიათ, სარტყლები ჩამოკონწიალებულია. მხედარდაკარგული მიქრის ცხენი. იქვე ხედავ, ძროხაა. ვისაც კი გადარჩენა შეუძლია!

13 December. The whole Sarikamish is fleeing headlong. We are living near the road and can see all this panic. What an unpleasant feeling. Empty carts and carriages, they have even forgotten to rescue the property, horses are at full gallop, being hastily harnessed, straps hanging loosely. Having lost the rider, the horse is flying headlong, the next moment you see the cow. It's just the matter of survival!



ღივილიანი, 1914 წ.  
REFUGEES, 1914

მოდის მძიმე სატვირთოებიც, ვკითხულობთ, ვისია? – 493 ჰოსპიტლისა. ყოჩაღ ვენცოვსკი, პანიკა დათესა. დილის 9.00 საათიდან ევაკუაცია დაიწყო! ეს ხომ მოძრავი ჰოსპიტალია, როცა ბრძოლა იწყება, ის წინ უნდა წავიდეს, ამან კი უკან დაიხია... შუადღისას ყველა ჰოსპიტალს უკანდახევა უბრძანეს, პუნქტს კი დარჩენა და გაძლება იქამდე, სანამდეც შეძლებდა. დაჭრილები ჩვენ აღარა გვყავს, ყველა გაყვანილია...

Heavy carts are moving on, whose are they? – They belong to hospital N493. And Ventsovski? Good for him! He spread panic and started evacuation at 9 in the morning! It's a mobile hospital. When the battles start, they have to move ahead, and he moved back ... At noon all hospitals were ordered to retreat, but the station was to stay and hold out as long as possible. There are no more wounded soldiers, everyone has been evacuated...



სხენების გადაყვანა

ვაცალიბებთ შემხვევ რაზმს და ზურგზე შესახვევი მასალით სავსე ტომრებით სადგურისკენ მივეშურებით. სადგურს რომ უნო, ღია მოედანი უნდა გაიარო. და აი, ზედ ჩემს ყურისძირთან გაისმა საშინლად მძლავრი, საშიში კაკანი. რა განვიცადე როცა პირველად ვიგრძენი ყოველი მხრიდან მომდინარი, სმენისთვის უჩვეულო სტვენა ტყვიებისა!

*We are organizing the dressing group and with sacks full of dressing materials are heading towards the station. To reach the station you have to cross the square. And I heard a terrible hum, just past my ear, monstrously powerful. Bang... bang... bang ... and blast. What I experienced when I first felt the bullets whining past me from all around the place!*



HORSE SHIPPING

წამსვე წარმოიშვა რალაც მოუხერხებლობა, დაბნეულობაც კი. იმნამს მეჩვენა, რომ ჩვენ ძალიან, ძალიან შორს ვართ ყოველივე ჩვენეულისაგან... საშინელი ზათქი ქვემეხისა, შრაპნელის დამახასიათებელი ხმის წუილი ყურებში ყოველ მხრიდან, ყუმბარები ხმაურით კვეთენ ჰაერს. სადგურს მძლავრად ესროდნენ. 3.00 საათზე პირველი შრაპნელი მოხვდა ორთქლმავალს, მაგრამ არ აფეთქდა. ჩვენი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

*Immediately I was overwhelmed with confusion, embarrassment, it seemed we were far, far away from everything of ours... Terrible peal of the cannon, ringing in the ears and flying squall of shrapnel, the shells cutting the air. The station was heavily shelled. At 3 o'clock the first shrapnel hits the locomotive, but does not explode. Our mental state is critical.*



ჟრუჟელია ცხიკოიო თუფა

პარსახსტიანი ტიფის ეპიდემია, 1915 წ.  
EPIDEMICTYPHUS, 1915

ჩვენ თვალწინ გარბის უფროსობა. გენერალი მიშლევსკი ყარაურგანს გაემგზავრა ჯარებთან (სასიამოვნოა ამგვარი დაცვის ქვეშ ყოფნა), კარპოვი-ყარსს. სარიყამიშში ერთი პოლკიც არაა. საერთოდ არ არის ჯარი, გარდა მოხალისეებისა - ლაშქრის მებრძოლებისა. სადგურზე საშინელი არეულობაა. ბუფეტთან სხედან ახლადგამოშვებული პრაპორშნიკები. მხიარულად და ხმაურით სადილობენ, არ ფიქრობენ მოახლოებულ სიკვდილზე.

*Our chiefs have taken run in front of our eyes. Myshlevski departed to Karaorgan troops (it was good to be guarded by them), Karpov went to Kars. Not a single regiment is left in Sarikamish. No troops at all, apart from volunteers. There is a terrible turmoil at the railway station. Newly released warrant officers are sitting nearby the refreshment room having dinner cheerfully and noisily, never thinking of the approaching death.*



ქირურგი კოვალევსკი ემზადება ოპერაციისთვის.

ქირურგი კოვალევსკი ემზადება ოპერაციისთვის  
SURGEON KOVALEVSKI IS GETTING READY FOR THE OPERATION

ოფიცერთა ნაკლებობის გამო პრაპორშჩიკებს სთავაზობენ ოცეულთა მწყობრის მეთაურობას და ეს საბრძოლო ყმანვილები ალტაცებით გადაეშვებიან ბრძოლაში, დიდებასა და გამარჯვებაზე მეოცნებენი! საათიკ არ გაივლის და ჯერ ერთ მათგანს მოათრევენ გავლუჯილი ბარძაყით, მერე მეორეს, მესამეს და ასე. კვლავაც რაზმის მეთაური ვოროპანოვი ეძებს ბრძოლის მსურველებს.

*Due to the lack of officers the warrant officers are offered to command the squadron and these poor fellows go to the battle enthusiastically, dreaming of fame, victory! Every other hour they are dragged out with fractures, one after another. The senior detachment officer Voropanov is still searching for those who want to fight.*



პირველადი დახმარება დაზარალებულს, 1915 წ.  
GIVING FIRST AID TO THE WOUNDED, 1915

საჩაიეში შესახვევ ოთახს ვაწყობთ. ამ ადგილს ტყვია და შრაპნელი აწვიმს. მაგრამ მუშაობისას მათზე არ ფიქრობ. ერთადერთი, რაც გინდა, თოფი აიღო და მთაში წახვიდე. ტყვიების სტვენა და გუგუნი ძლიერდება. დაჭრილების რიცხვი მატულობს. ჩამობნელდა. უკანასკნელ მოყვანილებს ვუხვევ და მე თვითონ ვგრძნობ... სისხლს. აშკარაა, რომ ბრძოლა სადღაც ახლოს მიმდინარეობს.

*We are opening a dressing point in the teahouse. It is literally showered with bullets and shrapnel. But when working, you stop thinking about them, the only thing you want is to take a gun and go into the mountains. The buzzing and whizzing of bullets is becoming increasingly forceful. More and more wounded appear. It got dark. Dressing the last ones, I can feel... the blood. Apparently the battle is going on nearby.*



პირველადი დახმარება დაზარალებულს, 1915 წ.  
GIVING FIRST AID TO THE WOUNDED, 1915

საღამოსკენ უკვე მივეჩვიე ტყვიების სტვენასა და ზუზუნს. 8.00 საათზე საჩაიეში შემოვიდა ექ. შტეინი (რომელსაც ასე მოულოდნელად შევხვდი) და დამიძახა: "კნიაჟნა, უკან იხევთ?" მატარებლიდან ვუყვირი: არა, ვაგონში ვხსნით შესახვევ ოთახს. უკებ მატარებელი ნელა იძვრის, სასტვენის და ყოვლევგვარი სინათლის გარეშე. როგორც მერე გაირკვა, შამ.-მა რაზმის მეთაურის ვოროპანოვის ბრძანება მიიღო, უკან ვიხევთო.

*By the evening I already got used to the whizz of bullets. At 8 o'clock Dr. Shtein (whom I met so unexpectedly) entered the teahouse. After a quick look he asked: "Princess, are you retreating?" I shouted back from the train: "No, we are opening the dressing point in the carriage. Suddenly the train started to move slowly, without any warning signal, any lights. As it turned out later, Sham. got Voropanov's order to retreat.*





პირველადი დახმარება დაზარალებულს, 1915 წ.  
GIVING FIRST AID TO THE WOUNDED, 1915

...დაჭრილები ყარსში გადმოვიყვანეთ. მთავარი ექიმი ციხე-სიმაგრის ჰოსპიტალისკენ დაიძრა, დანარჩენებმა ნაცნობებს მიაშურეს. დაე ანტონოვა და მე ქალაქში წავედით. სასტუმროში ნომერს ვერ იშოვი. დერეფნებშიც კი წვანან. დავბრუნდით სადგურში. მომცრო დარბაზში ირევიან ოფიცრები, ექიმები, დები. ორს ჩვენს დათავანს, რომელთაც წასასვლელი არსად ჰქონდათ, დაქანცულებს უკვე თავიანთ ჩემოდნებზე ეძინათ.

...We got the wounded soldiers off the train in Kars. The head physician rushed to the fortress hospital, others dispersed in different directions. Sister Antonova and I went to the city. It was impossible to get a room in the hotel. People were sleeping even in corridors. We returned to the station. Officers, doctors and nurses are mingling in a small hall. Two of our Sisters who had nowhere to go, were already sleeping on their suitcases, exhausted.



ღაჭრილი თურქის დახმარება, 1914 წ.  
GIVING AID TO A WOUNDED TURK, 1915

ყარსი, 14-ში. ხარბად დავეწაფეთ გაზეთებს. მოვლენათა ავი თანხვედრილობით შემომეფეთა მიხაილოვის სტა-  
ტია: "საზეიმო განადგურება თურქეთის არმიისა." და ამის კითხვამ მომიწია უკანდახვევის დღეს. ჩვეულებისამებრ  
ის მოახლოებულ გამარჯვებებს გვამცნობს. შემეჯავრა ამის კითხვა და მივაფდე. ლახოვსკიმ თავი გამოაცხადა  
პუნქტის უფროსად, რადგან არდ.-ი დაკარგეთ.

*Kars , on the 14th . We started to read newspapers greedily. Under some evil concourse of circumstances we came across  
Mikhailov's article: "Triumphant Breakup of the Turkish Army" and we had to read it on the day of the retreat! Usually this  
notifies the close victory. It is disgusting to read it, I threw the paper away. Lakhovski announced himself the chief of the point  
after we had lost Ard.*



პირველადი დახმარება დაზარალებს, 1915 წ.  
GIVING FIRST AID TO THE WOUNDED, 1915

15 დეკემბერი. მთელ დღეს ვუსაქმურობთ და მონყენილობისგან ვიტანჯებით. ღამის სათევად ყაზარმები შემოგვთავაზეს. ცივი, გაუთბობელი, შიშველი იატაკით. ტელეფონით ვრეკავთ სიმაგრეში. გვარწმუნებენ, რომ შენობა გამთბარი და მონყობილია. დაცინვაა და მეტი არაფერი. აღარ აღვწერ, რა განვიცადე იმ ღამეს – უფრო იოლი იქნებოდა თურქული ტყვიის წვიმაში მოყოლა, იქ ნამდვილად საფრთხის ქვეშ აყენებ სიცოცხლეს, აქ კი უბრალოდ გავიყინეთ.

15 December. Doing nothing all day we are bored to death. We were put up in the barracks for the night that were cold, unheated with just a bare floor. We are calling the fortress and they assure us that the place is heated and furnished. This is just mockery. I won't describe what I felt that night, it would have been easier to stay under Turks' bullets - at least you would know what you're risking your life for, but here we were just freezing.



ჩუქმაჩაღაზ და ჩერეხჯიქი

დაჭრილი თურქის დახმარება, 1914 წ.  
GIVING AID TO A WOUNDED TURK, 1914

სელიმი. 16 დეკემბერი. განადგურებულია მეორე სანიტარული მატარებელი. პერსონალი ტყვედაა აყვანილი. მძიმედ დაჭრილები გზაზე არიან მიტოვებულები. მათ საშველად რაზმს აგზავნიან. ჩვენ ვიქნებით 4 ექიმი, 4 და და 14 სანიტარი. ბეგლი-აჰეთში შევჩერდით, საბრძოლო მატარებელი წინ წავიდა ტყვიამფრქვევით, თურქების გასაფანტად.

Selim. 16 December. The 2<sup>nd</sup> ambulance train has been broken up. The personnel have been taken prisoners. Heavily wounded soldiers are left on the road. They are sending a brigade to back them up. We'll be 4 doctors, 4 sisters and 14 orderly men. We stopped in Begli-Akhet, the combat train with machine-gun drove on to break up the Turks.



პირველადი დახმარება დაზარალებულს, 1915 წ.  
GIVING FIRST AID TO THE WOUNDED, 1915

*Первая помощь раненому*

ჩვენს სანიტრებს საბრძოლო ვაზნები ჩამოურიგეს. წინ მივინევთ დიდი სიფრთხილით, მარცხნივ ჩანს მოძრავი კოლონა. რაზმის უფროსის მტკიცებით, ესენი ქურთები არიან. როგორც იქნა, საბედისწერო ადგილას ვართ. დარბეული მატარებელი, დალენილი ფანჯრები ... შიგნით ყველაფერი დამტკვრეული, ლეიბები გადახსნილია.

*Our orderly men were given live ammunition. We are moving forward with great caution, on the left there is a column moving. On the chief's words they must be the Kurds. Finally we have reached the fatal place. The smashed up train, windows... inside is a mess, everything's broken, mattresses are ripped up.*



1914 წ.  
1914

რამდენიმე გვაში, ზოგიერთი არცთუ ჩვეულ პოზაში. როგორც ჩანს, ძარცვისას წინააღმდეგობის გაწევის დროს ხმლით დაფატრეს. შემადრწუნებელი სახე აქვს კაზაკს, მძიმედ დაჭრილი, დანოლილი ისროდა, რის გამოც მუცელი გაუფატრეს. როგორი მხეცეპივით დაუნდობლები არიან ეს ქურთები, ასეთი სასტიკი ბრძოლა რომ გააჩაღეს.

*Several dead bodies, some of them in unusual positions, they seem to have been slaughtered ...while resisting plunder. The Cossack looks horrible, heavily wounded, he must have been firing lying, and that's why he was disemboweled... How brutal these Kurds must have been to have committed such an unheard-of slaughter.*



1915 წ.  
1915

ეს სევდიანი ფიქრები განწყვიტა შემაშფოთებელმა ზარმა: გაისმა ბრძანება: “ადგილებზე!” ერთ ვერსში თურქთა ბანაკია, იქიდან გამოქცევა მოუხერხებია ორ დას. განწირულად გვიქნევდნენ თეთრ თავსაფარს, ეშინოდათ, კაზაკების ცეცხლში არ მოყოლილიყვნენ. უსაფრთხოდ გამოაღწიეს სახიფათო ადგილიდან.

*These grievous reflections were interrupted by an alarming ring: there was a command of “Take Post!”. Half a mile away was a Turkish camp, from where two Sisters managed to escape. They were desperately waving the white scarf, fearing to get under the wear of the gun of their own Cossack troops. But they got out of danger safely.*



ზგაში, 1914-1915 წწ.  
ON THE ROAD, 1914-1915s

18 დეკემბერი. ბეგლი-აჰეთი. ღამით მივიღეთ განკარგულება, რომ დილის 5.00 საათზე სადგურზე ვყოფილიყავით. იქ ერთმანეთზე მიყრილებს ეძინათ ჯარისკაცებს, ოფიცრებს. მივემგზავრებით სელიმში დაჭრილების გამოსახსნელად. რამდენიმე საათი დაგვარგეთ ბეგლი -აჰეთში. გადავანყდით გლეხის სახლს, ჯარისკაცებისა და ქურთების მიერ დარბეულს. ეზოში დაფარდატებს პატრონებისგან მითოვებული ფრინველი.

18 December. Begli-Akhet. At night we got the order to be at the station at 5 o'clock in the morning. The soldiers, officers, all were sleeping side by side. We are going to Selim to fight off the wounded. For several hours we were delayed in Begli-Akhet. We came across the peasant's cabin smashed by soldiers and the Kurds. There were chickens in the yard left by their owners.





გზაში, 1914-1915 წწ.  
ON THE ROAD, 1914-1915s

ჩვენ დავიჭირეთ ქათმები და რაღაც სათლში მოვიხარშეთ წვნიანი. ბულიონი ასეთი გემრიელი არასოდეს მომჩვენებია. საღამოს დაჭრილებსაც ვახვრუპინეთ. სანიტრებმა ქურთი მოათრიეს ჩვენი ზენრით ხელში (სანიტარული მატარებლის ბეჭედი ერტყა), რომლისგანაც პერანგს იკერავდა. მთავარმა ექიმმა მოუქნია, მე მივტირალდი, რომ არ მენახა ეს საზიზღარი სურათი.

*We caught them and made a soup in some pail. Never before the clear soup seemed to me so delicious. In the evening we gave it to the wounded. The orderly men dragged in a Kurd holding our bedsheet. They found him making a shirt from the bed sheet that had a stamp of the combat train on it. The head physician made a strike at him and I turned away not to see this horrible scene.*



ალაჯარი  
ALADJARI

ქურთები მოთარეშე ტომია. თურქები მათ იყენებენ. მაგრამ დიდი სხვაობაა ქურთებს, როგორც თურქეთის არმიის აღვირახსნილ ელემენტებსა და საკუთრივ რეგულარულ ჯარს შორის. მათი ოფიცრები კეთილშობილებით გამოირჩევიან. კეთილშობილებას მე რელიგიის ძალით ვხსნი. ქურთი მოქნილია, აქვს სწრაფი ფეხი...

*The Kurds are a nomadic tribe and the Turks make use of them. But there is a great difference between Kurds' being an unbridled element in the Turkish army and regular troops. The Officers stand out by their nobility which I think is due to their religion. A Kurd is crafty, with strongly developed legs...*



ცხედრები  
DEAD BODIES

...ეს ჩვენი ქურთი ლატაკსა ჰგავს. მშვიერი, ჩამოძენილი იერისაა, ოღონდ აუცილებლივ თანა აქვს დანა და ხანჯალი... გამოხედვა ხან ბავშვური, ხან მხეცური. ყარსში წაიყვანეს, იქ ციხე მოელის. დაჭრილთა ნაწილი გადმოვიყვანეთ. დანარჩენები დარჩნენ მომლოდინენი. სალამოსკენ რამდენიმე ასეული ტყვე მორეკეს, ვაზნებიანი ყუთებით დატვირთული აქლემების მთელი მასა მინდორში განთავსდა სამხედრო ტყვეთა ბანაკში.

...Ours looks hungry, dressed in rags, but he is sure to have a knife and a dagger on him... His look is sometimes childish and sometimes beastly. He was taken to Kars where the prison was awaiting him. Part of the wounded has been evacuated. The rest of them went on waiting. Towards the evening several hundreds of prisoners and a lot of camels loaded with boxes of ammunition were brought in.



ნათიანთა სამუჯარა ორლოვისა.

სანიტარ ორლოვის დაკრძალვა  
FUNERAL OF THE SANITARY ASSISTANT ORLOV

...ლამაზად აციმციმდა კოცონები. ყარსში ჩვენებს საზეიმო შეხვედრა მოელოდათ. მცირე ინციდენტი: ჩვენი მატარებელი მეორე ლიანდაგზე შეუშვეს. ამან მეტად წაუხდინა გუნება მთავარ ექიმს, რომელსაც ეფექტური რაღაცები უყვარს. ნახევარ საათს მაინც ვმანევრირებდით, სანამ საჭირო ადგილი დავიკავეთ. მერე შემოგვეგებნენ, მშვიდობით დაბრუნებას გვილოცავდნენ. პიოტრ სემ.-ი კი სულ პირფვარსა მსახავდა.

...Beautiful bonfires appeared in the prisoners' camp. A red-carpet welcome was awaiting our people in Kars. A minor incident: our train was to stop at platform two. This made the head physician, who was the master of show off, very angry. We had been maneuvering for half an hour until we occupied the right position. Then we were greeted with congratulations and happy return. And Peter Sem. was blessing me all the time.



ცხედრები  
DEAD BODIES

20 დეკემბერი. ყარსი. სამუშაო ბევრია. მატარებლების ნაკლებობის გამო დაჭრილთა დიდი რაოდენობა იყრის თავს. ყაზარმებში მძიმე ჰაერია, ლამპები ქრება. ასეთ მდგომარეობაში მუშაობა ძნელია. მთელი დღეები დადიხარ გადასახვევად, დაჭრილები 14 ადგილას წვანან. სავსეა კლუბები, გიმნაზიები. დღეს საკრებულოში მოვხვდი. დარბაზში თივაა გაფენილი...წვანან დაჭრილები, აქვე უწესრიგოდ ყრია დეკორაციები.

20 December. Kars. There is a lot of work to do. Due to the lack of trains, the wounded people flock in. The air is stale in barracks, lamps are dimmed; it's hard to work in these conditions. All day we go round the city to dress the wounded; they are in 14 different places. The clubs are full, so are gymnasiums. Today I was at the local authority hall. The floor covered with hay ... the wounded are lying on it, pieces of decorations are scattered around in a mess.

Теперь она в сердце.



გულში მოხვედრილი სყვირა  
THE BULLET SHOT IN THE HEART

21 დეკემბერი. დაჲ კლავოჩკა საუცხოოდ მუშაობს. პატარა, სუსტი, კობტა, მარად პრაპორშჩიკთა სითბოთი გარემოცული, თავისი მონდომებით გაგაოცებს. ვინ იფიქრებდა? მხოლოდ ქალს ხელენიფება ასეთი მკვეთრი გადასვლები- მხიარულება, ვახშამი, მარხილით სეირნობა; დილით: სისხლი, კვნესა, ტანჯვა.

21 December. Klavochka, one of the Sisters, works excellently. She's small, weakly, smart, always surrounded by warrant officers, amazing everyone with her diligence. Who could expect that? Only a woman can stand such extremes – revelries, suppers, sleighing at night; in the morning: blood, groans, and sufferings.



კლიჩ-გიადუკიში მოპოვებული გარბაგანი, 1915 წ.  
CANNON BROUGHT FROM KLICH-GIADUK, 1915

მოვიდა ეშელონი, მიეშურება საშველად. მიემართებიან ტომრებმოკიდებული ჯარისკაცები ხელში შაშხანებით. ყველას პირქუში გამომეტყველება და კონცენტრირებული მზერა აქვს. წითელი ჯვრის რწმუნებული 13-ში ღამით გაეშურა სარიყამიშისკენ. შტაბის ძიებანი უშედეგოა, ის არსად ჩანს. ნუთუ ტყვედაა? ეს საშინელება იქნებოდა. ვრ. კარგი, აზრიანი მუშაკია.

*The echelon arrived for help ... soldiers are passing by with sacks on their backs and rifles in their hands. All of them have a gloomy, concentrated look. The officer-in-charge of the Red Cross left for Sarikamish on the 13<sup>th</sup>. The headquarters have failed to find him, nobody knows where he is. Could he have been taken prisoner? That would be horrible. Gr. is a very good and smart worker.*



დერაბი. ჯვარტირა კომანდურა კორპუსა  
 ვეხ. ბრანოვსკი<sup>x</sup> კორპუსი ბრატო შანდრიკოვეკი<sup>x+</sup>

დერაბი. კორპუსის მეთაურის, გენერალ ოგონოვსკის ბინა, კორპუსის ექიმი შანდრიკოვსკი  
 DERABI. THE FLAT OF THE CORPS PHYSICIAN, GENERAL OGOVNSKI, CORPS PHYSICIAN SHANDRIKOVSKI

24 დეკემბერი. გზა შეკეთებულია. დღეს გადის პირველი მატარებელი, სარიყამიშიდან ტყვეების წამოსაყვანად. ექ. შტეინი, დაა ანტონოვა და მე. დღე სავსეა შთაბეჭდილებებით. რაც უფრო ახლო ვართ სარიყამიშთან, მით უფრო მეტი კაცისა და ცხენის გვაში გვხვდება გზაზე. ყოველ ვერსზე მკველ-გუშაგები დგანან.

24 December. The railroad track has been repaired. Today the first train is arriving to collect the wounded from Sarikamish. Dr Shtein, Sister Antonova and me. The day is full of impressions. The closer we get to Sarikamish the more often we come across dead people and horses. Guard patrols are standing in every other verst.





სელმნიფის ჩასვლა სარიყაშიში, ნოემბერი, 1914 წ.  
EMPEROR'S ARRIVAL IN SARIKAMISH, NOVEMBER, 1914

გზისპირებზე ყრია მკვდარი ცხენები, დამტვრეული ფორნები, სკამები, მიმობნეულია ნივთები. ... პირად წევს ლამაზი კაცი, ალბათ სირიელი. მის ნაცრისფერ თვალებში ჩარჩენილია რაღაც გამოუთქმელობა, ეტყობა ეს ყოველი მას საშინელ სიზმრად ეჩვენებოდა. ზედა ტუჩი აწეული აქვს, ალბათ ისე, როგორც იმ წამს, როდესაც ტყვია მისწვდა და ასევე დარჩა. მოუჩანს მწკრივი დიდი კბილებისა.

*Dead horses are lying around, smashed carts, broken chairs, abandoned things are scattered on both sides of the road. A handsome fellow is lying, must be a Syrian. In his stiffened eyes one can still see something... unsaid. All this must have seemed to him a horrible nightmare. He remained in that position, as he was at the moment of shooting, with his upper lip turned up a bit, showing a set of big teeth.*



1914 წ.  
1914

იქვე ღელეში ჩამხობილა მეორე, როგორც ჩანს, წყლის ამოღებისას წახრილი გაქვავებულა. შემდეგ ერთგულ წულს ნახევარმთვარისას თვალებში აქვს სიხარული და სიმშვიდე, ეტყობა რწმენა მას არამინიერი ბენდიერებისკენ გაუძღვა. მის გვერდით კი ცხენის გვამია და ასე, უთვალავი გვამი განფენილა გზის გასწვრივ. სადგურზე ყველგან წვანან ფარაჯებს ქვეშ მოკუნტული ჯარისკაცები. ზოგი ამბობს, რომ რამდენიმე დღეა არაფერი უჭამია.

*Another one is in the rivulet, frozen in the pose as he was bending down to get some water from it. The next true son of the crescent reflects joy and serenity in his eyes, as if his faith has promised him some celestial happiness. Next to him is lying a dead horse and so on, countless cadavers across and along the road. In the station lots of soldiers are lying doubled up with pain under their army overcoats. Some of them say they haven't eaten for several days.*



ყარაქილისა, 1915 წ.  
KARAKILISA, 1915

დავიხარე ერთისკენ: ახალგაზრდა ლამაზი სახე, ხელზე ხელი წამავლო და მწარედ ატირდა: "დაო, ნუთუ ჩვენს წასაყვანად მოხვედით, მეხუთე დღეა პური არ მიჭამია."

რა საშინელებაა! სარიყამიში გარშემორტყმულია მავთულებით, აქეთ-იქით ყრია დამტვრეული ტელეგრაფის ბოძები, გაძარცვულია დუქნები, ჯარისკაცები ძარცვავენ და ხსნიან ყუთებს, დაძრწიან შეშლილი, მშიერი ძაღლები...

*I bent down to one of them, with young, beautiful face. He grabbed my hand and started to cry bitterly "Sister, have you really come to take us, I haven't had any food for five days". What a nightmare! Sarikamish is fenced by a wire, broken telegraph posts are scattered everywhere, small stores have been plundered, the soldiers were looting and breaking up the boxes, hungry, mad dogs scurrying around...*



ყარაქილისა, 1915 წ.  
KARAKILISA, 1915

მატარებელი დაჭრილებით შევავსეთ, სადგურის თანამშრომლებს მივეცით პური და სარდინების კოლოფი. მხურვალედ გვიხდიდნენ მადლობას. რაღაც მაინც ექნებათ, რომ შობის საღამოს სიკეთით შეხვდნენ. ჩვენ კი შობა ღამეს ტებლუშკაში შევხვდით. ორიგინალურად, მაგრამ მაინც მძიმედ. ყარსში ღამის 2.00 საათზე დავბრუნდით. ღამის გათევა მოგვიხდა კანცელარიაში, დენშჩიკებთან ერთად, ნარებზე. აბა ღამე ის იყო!

*We loaded the train with the wounded and gave the railway workers some bread and a tin of sardines. They thanked us a lot, now they'll have at least something to celebrate Christmas. We spent Christmas Eve in a heated wagon, quite in a funny way, but it was still hard. We arrived in Kars at 2 o'clock in the morning. We had to spend the night in an orderly room on plank beds with batmen. What a night!*





*Раздача Георгиевских крестов  
Кавказской дивизии*

წმ. გიორგის ჯვრების ღარიბაშა, კავალერიისთა დივიზია  
AWARDING ST. GEORGE'S MEDALS. DIVISION OF CAVALRYMEN

ერთმანეთს ეკვრიან საკუთარ ძონძებში გახვეულები, სახეები გაღურჯებული აქვთ. მივდივართ ნელა, ხანგრძლივი გაჩერებებით. ყველა სადგურზე ვჩხუბობთ, არ გვაძლევენ სანთლებს, ზოგიერთს ნყვდიადში უწევს სიარული. გუშინდლიდან მოყოლებული დაჭრილებს არაფერი უჭამიათ. დავდივართ ტებლუშკებში, ვუცვლით სისხლით გაუღენთილ სახვევებს.

*They squeeze up against each other dressed in rags with their faces turned blue. We are moving very slowly with long stops. At every station we have rows, they don't give us candles, and some of them will have to travel in pitch darkness. Telegrams never come on time. The wounded soldiers have been hungry since yesterday. We go from wagon to wagon, adding more bandage to the dressings soaked in blood.*



РОССИЙСКОЕ ОБЩЕСТВО  
КРАСНАГО КРЕСТА

СОСТОЯЩЕЕ ПОДЪ  
ВЫСОЧАЙШИМЪ  
ПОКРОВИТЕЛЬСТВОМЪ

Ея Императорскаго Величества  
ГОСУДАРИНИ ИМПЕРАТРИЦЫ  
МАРИИ ФЕОДОРОВНЫ.

УПРАВЛЕНИЕ  
ГЛАВНОУПНОМОЧЕННАГО

ПРИ  
КАВКАЗСКОЙ АРМИИ

8 Октября 1915 г.  
№ 15348.  
Тифлисъ.



Уполномоченному 2-го Кавказскаго Передо-  
вого Отряда Краснаго Креста.

Препровождая при семъ пожалованную сестрѣ  
милосердія ввѣреннаго Вамъ Отряда кн. Нинѣ  
Джорджадзе Георгіевскую медаль 4-й  
степени за № 364151, Управление имѣетъ честь  
просить о врученіи таковой по принадлежности,  
подъ росписку, каковую не отказать препроводить  
въ Управление.

ПРИЛОЖЕНИЕ: Георгіевская медаль 4-й ст. за  
№ 364151 и ¼ арш. Георгіевской ленты.

Завѣдующій Канцеляріей,  
Уполномоченный

Начальникъ Распорядительнаго  
Отдѣленія



Ген. Огоновскиа раздаетъ Георгиевск. кресты.

გენ. ბიორგის ჯვრების ღარიბაჯა გენერალი ოგონოვსკის მიერ  
GENERAL OGOVOSKI AWARDING SOLDIERS WITH ST. GEORGE'S CROSSES

დიდი უძლურებაა, აღარ გვაქვს გადასახვევი მასალა, ბინტი გამოიღია. სირცხვილისგან იწვი იმათი შემხედვარე, ხალხი სისხლისგან იცლება. ერთი, თავში მძიმედ დაჭრილი ჭკუაზე შეცდა, უაზროდ მყოფი მეზობელს ჰკრავს მუჯღუგუნებს, კიდევ უფრო ამწვავებს იმის ტანჯვას... ერთ-ერთ სადგურზე რამდენიმე ბინტი მოგვცეს. მას სახვევი შევხსენი, ჩირქმა სქლად გამოასხა ტრილობიდან. გადახვევა ტუბლუშეკბში – ცალკე ტანჯვაა.

*Lots of inconveniences, not enough dressings, we have run out of bandages. One feels ashamed to look at people bleeding to death; the one that had been shot in the head heavily, lost his senses, he is pushing his neighbor unconsciously, making him suffer even more. ...At one of the stations we were given some bandages. As I unbandaged his wound the pus sprang out of it in a thick stream. Dressing in wagons is real drudgery.*





სიღი ვერონ შაკეა, თევზის ზარა, ექიმი ოლეინიკოვი და მოწყალების და ნინო ჯორჯაძე  
 THE BRIDGE ON VERON SHAKHE, FISHING, DOCTOR OLEINIKOV AND SISTER OF CHARITY NINO JORJADZE

3 იანვარი. ვბრუნდები. სელიმში წამოგვეწია ოლდენბურგის პრინცის მატარებელი. პრინცი თვითრჯული ჯაჯღა-  
 ნაა, თუმცა შენიშვნები თანმიმდევრული აქვს. ბევრი იყვირა თურქულ განყოფილებაში. პასუხებს მის კითხვაზე  
 – "კარგად გეპყრობიან?" მთავარი ექიმი თარგმნის თურქულიდან: ისინი მადლობენ ხელმწიფეს ყურადღებიანი  
 "მოპყრობისთვის". როგორც შემდგომ გაირკვა, სრულიად საპირისპიროს ამბობდნენ: "არ გვატყევენ, შიმშილით  
 გვკლავენ".

3 January. I am returning. Prince Orenburg's train overtook ours in Selim. The prince is a whip-cracker – and a yeller, although  
 he always gives practical advice. He made a lot of fuss in the Turkish division. The answer to his question: "Are you being  
 treated well?" is translated by the head physician from Turkish as: "they are grateful for he Tsar to have shown auch 'care'.  
 As it turned out later, they were saying absolutely different things like: "they don't give us food, they make us starve to death".



ნაშთები მანაანს

გზაღ ტაპანისკან  
ON THE WAY TO TAPAN

დაჭრილი თურქების მდოგმარეობა სავალალოა. აუნერელი სიბინძურე. 666-ადგილიან ყაზარმებში, პუნქტი 1000 დაჭრილ რუსს ათავსებს ხოლმე, ახლა კი იქ 2000-მდე კაცია. დაჭრილთა ამ რაოდენობაზე არაფერია სამყოფი. საკვებზე თურქები ვერც კი ოცნებობენ. მათთვის ადუღებული წყალიც კი ძნელი საშოვარია. თურქი გარეთ გამოძვრება, თოვლის გუნდას გააკეთებს და მთელი დღე წუნწის.

*The wounded Turks are in a disastrous state. Unimaginable dirt. The evacuation point accommodates 1000 Russian wounded soldiers in barracks that are intended for 666 people, and now there are 2000. There aren't enough supplies for such number of wounded people. The Turks can't even dream of food. They can't get even boiled water. A Turkish soldier would crawl out, make a snowball and suck it all day.*



Солухскій мостъ черезъ

სულუქის სიდი ევფრატზე  
THE SULUKH BRIDGE ON THE RIVER EUPHRATES



სულუქის სიდი



ჩანჩქარი ბიუმ-ბაღი  
GIUM-BAD, WATERFALL

...პრინცის მრისხანების შემდმეგ დაჭრილი თურქების ჭმევა დაიწყეს. ვითარება არ გამოსწორდა, ათობით იხო-  
ცებოდნენ. გუშინ ვმორიგეობდი და 45 კაცი მოკვდა, დღეს 62! მათ აძლევენ ღორის ქონზე მოხარშულ ფაფას.  
რა ბარბაროსობაა. ჯერ ეს ერთი, მათი კუჭ-ნაწლავი ვერ იხელავს ღორის ქონს და ყველას დიზინტერია აქვს,  
მეორეც – განა წესია ტყვეთათვის იმის ჭმევა, რასაც რელიგია უკრძალავთ.

...After the Prince's rage they started to feed the wounded Turks. The situation did not get any better, dozens of soldiers were  
dying. Yesterday, during my shift, 45 people died and today 62!. They are given porridge with lard. It's really barbaric. First  
of all, their stomachs cannot digest the lard and everybody is down with dysentery and then how can you feed prisoners with  
the food that is forbidden by their religion?



*ჩვენ ვართ ზოგჯერ - ზოგჯერ*

ბოგლან-გიადუკის უღელტეხილზე  
ON BOGLAN-GIADUK PASS

5 იანვარი. მიმდინარეობს ბრძოლები. ჩვენი ჯარები ცდილობენ სარიყამიშის ბრძოლებისას დათმობილი პოზიციების დაბრუნებას. ჩვენი ბინა შტაბმა დაიკავა და საშინელ მდგომარეობაში ვართ. პატარა ოთახში ცხრა ადამიანს ვვძინავს. დენშიკს არ ვვადლევენ, დები თავად ალაგებენ თავინათ ფართს, რეცხავენ თეთრეულს. ვიყინებით, ერთი კვირა არ ვავმთბარვართ. შუშას არ ვვადლევენ. ზოგჯერ თუ მოგვცემენ სანვავად ნაკელში არეულ თივას.

5 January. The battles are going on. Our troops are trying to regain their positions they had during Sarikamish battles. Our flat was occupied by headquarters and we are in terrible conditions; 9 people sleeping in a small room. They don't give us a batman, Sisters have to clean and do the washing by themselves. We are freezing; there has been no heating for a week. They don't give us any wood for heating, only some hay mixed with manure, instead.



ზიარეთი, 1916 წლის 16 სექტემბერი  
ZIARET, 16 SEPTEMBER, 1916

10 იანვარი. დაჭრილებს თეთრეულს არ ვუცვლით, თუ ძალიან არ დაიფხრინა და არ დაესვარათ. ერთხელ დიდხანს ვითხოვდით პერანგებს. არ მოგვცეს. მაგრამ, იქვე, მოხელემ განაცხადა: მე კი მაქვს ათასიოდე პერანგი, მაგრამ არ ვიცი რა მუხლის საფუძველზე გავცეო. ქალაქი ყოველივე ცოცხალსა კლავს, მუშაობაში გვიშლის ხელს.

10 January. We do not change the bed sheets for the wounded unless they are badly torn or too filthy. We were cadging for shirts for a long time, but did not get any. And here one of the functionaries said: "I do have 1000 shirts, but I don't know under which article they fall". Paper kills all that's alive, doesn't allow one to do the job.



ბოგლან-გედიგის უღელტეხილი, 1916 წლის 12 აგვისტო. ნარწერა ფოტოზე: „გაპურნალავს დამანგრეველებსაგან“  
BUGLANGECIDI PASS. 12 AUGUST, 1916. INSCRIPTION ON A PHOTO: "TO HEALERS FROM DESTROYERS"

14 იანვარი. შესახვევში თურქი შემოიყვანეს, ფეხებიდან სახვევები მოვხსენით. კოჭიდან და მალა, მთელს ფეხზე ხორცი აღარ ესხა, მხოლოდ შიშველა ძვლები გამოშვერილიყო. ფეხი მოჰყინვია და არავინაა, რომ ამპუტაცია გაუკეთოს. დღეს დაჭრილები გადავიყვანეთ სანიტარული მატარებლისკენ. ავადმყოფებს სადილისთვის აჩქარებენ. მძიმედ დაჭრილები საკაცებით მოჰყავთ.

14 January. A Turkish man was brought into the dressing room; we removed the bandage from his leg. But there was no flesh on his shin, only the bare bones were sticking out. He had frostbite on the leg, but there is nobody who can amputate his leg. Today the wounded were evacuated to the sanitary train. The patients are hurriedly given dinner. Heavily wounded ones are brought in on stretchers.





ინგლისური ჯავშნოსანი ავტომობილების რაზმი, 1916 წ.  
ENGLISH ARMORED MOTOR TRANSPORT TROOPS, 1916

...ექიმ ს.-სთან ერთად ორთვალათი მივდივარ (ჩემი ლეიბის მოსაძებნად). სანიტარული ორთვალათი მოგზაურობა დიდად საამო არ არის: უშვლებელი, უაზრო ფორანია, მეტად მგრძობიარე გზის ყოველი უსწორმასწორო ადგილის მიმართ და გამუდმებით ორმოებსა და გუბებში ვარდება.

...I am going on a two-wheeled cart together with Doctor S. (to look for my mattress). Travelling in a sanitary cart is not a pleasant trip: a huge, foolish cart is too sensitive to bumpy road and is constantly hitting holes and ditches.



აფიცრები ანლისკარო სტრეჯა. ჟოიბ 1916.

ინგლისელ ოფიცერთა რაზმი. ივნისი, 1916 წ.  
REGIMENT OF ENGLISH OFFICERS. JULY, 1916

ამიტომაც იქ ჯდომა მეტად მტკივნეულია. თავი რომ გადაირჩინო, სანახევროდ უნდა ეკიდო, ფორნის კიდეებს უნდა ებლაუჭო. თვალი მედგრად უნდა გეჭიროს, რათა ტუტყის ოკეანეში არ აღმოჩნდე. ამით კი ასე მდიდარია სარიყამიშის გზები. ბოლოს ეჩვევი კიდევ და ერთგვარად ხალისიც მოდის.

*So it's rather difficult to sit in it. To keep balance you should be half hanging, clutching onto the edge of the cart. You're watching vigilantly not to be trapped in the ocean of mud which Sarikamish is so rich with. Finally you get used to it and it even seems to be fun.*



ყურუმ-ღალში მოპოვებული გარბაგანი. აგვისტო, 1916 წ.  
 CANNON BROUGHT FROM KURUM DAG. AUGUST, 1916

15 იანვარი. ჩვენთან მრისხანებს ტიფი. ჰოსპიტლები ტიფიანებს არ იღებენ, პუნქტებში სამზარეულოები არაა მორგებული ავადმყოფებზე, შედეგად ავადმყოფი მთელი კვირების განმავლობაში ლუკმას ვერ ჭამს. გაივლი პალატაში, კენესა, ვაება ავადმყოფებისა. დამეხმარეთ! დაო, ასე უნდა მოვკვდე? ნამალი მაინც მომეციოთ.

15 January. Typhoid fever is in rife here. Hospitals do not admit the patients with this disease, the stations and kitchens are not adjusted to patients and consequently, the sick person has nothing to eat for weeks. Passing the wards you hear groans of disapproval from patients. Please help us! Sister, how can we die like this, give us at least some medicine!




ჩვენთან ვხედავთ

ტყვიანობა, 1916  
BY THE MACHINE-GUN, 1916

ჩაიზე პარტახტიანი ტიფის შემთხვევაზე ვლაპარაკობ. მთავარი ექიმი უხეშად მპასუხობს: ვინ ვითხრათ? ჩანს, უფროსობა ვერ იტანს იმას, რის გავგონებაც არ უნდა. პარტახტიანი ტიფი არ უნდა არსებობდეს! ჩემად უნდა იყო. პუნქტი გადამდებებითაა სავსე, ადგილი არა გვყოფნის. ქალაქთა კავშირიდან ჩამოვიდნენ ნავთობმრეწველები. ფრთის გაშლას აპირებენ, ოღონდ ავადმყოფების მიღება არ სურთ, მხოლოდ დაჭრილები.

*At tea I am talking about the case of typhoid fever. The head physician replies rudely: Who said this? It seems the chiefs can't stand hearing what they don't want to. There must not be any typhus fever, that's all! You should hold your tongue. The station is full of infected people but there is not enough room. Petroleum producers have arrived from City Union. They want to show what they can do but they don't want to take the sick people, only the wounded.*



ქედიგე მუშაზ ხეზონი ითქველია. 28. მაისი 1916

ქალაქი მუში აღებული გენერალ ნაზარბეგოვის მიერ. მაისი, 1916 წ.  
THE CITY OF MUSH CAPTURED BY GENERAL NAZARBEGOV. MAY, 1916

ომს ყოველთვის გმირობათა და ჭრილობათა სიდიადე წარმოაჩენს. აქ კი უეცრად, ავადმყოფი! ყველა ირიდებს ავადმყოფებს, მათი მდგომარეობა კი უფრო მძიმეა. ისინი არანაკლებად იტანჯებიან, მაგრამ მათ რატომღაც უკანა ოთახის ხალხად თვლიან. ავადმყოფები არავის უნდა, არც ჩამოსულ ჰოსპიტლებს, არც მატარებლებს, და არც თვით დებს. ყველას დაჭრილები მიაჩნია! თითქოს გემრიელი გალეტი იყოს.

*War is always about heroic deeds, heavy wounds, and here are the sick! Everybody shuns sick people, while they are in a heavier state, suffering more than others, but for some reasons they are considered to be off-stage. Neither the arrived hospitals nor trains and even Sisters want to take the sick people with them. Everybody wants the wounded! As if they are a piece of a tasty cake.*



გენერალ აბასიევის მიერ ბიტლისში მოპოვებული თურქეთის დროშა  
 TURKISH FLAG OBTAINED BY GENERAL ABATSIEV IN BITLIS

ჩამოვიდა გენერალი ბ. რამდენი უფროსობაა?! ისევ ხვეტენ შენობებს, გზებზე ქვიშას ყრიან. ისევ სხოდმები გა-  
 ჩაღდება. ავადმყოფთა დახმარების მნიშვნელოვანი და სერიოზული საქმისთვის ეს სხდომები ოპერეტებია და  
 მეტი არაფერი. თავიანთ სიბუჯით სიტყვით ავლენენ. ხალხი ბუზებივით იხოცება. ხშირია ჭკუაზე შეცდენის შემ-  
 თხვევები.


General B. arrived. How many chiefs are there?! The buildings are being swept, the roads sanded. Now the meetings will start  
 again for the serious, important cause of rendering the aid to patients; these meetings are like comic operas. They just act with  
 words. People are dying like flies. There are often cases of derangement.



1916 წ.  
1916

17 იანვარი. როგორც იქნა შტაბი შორდება აქაურობას. ჩვენ საკუთარ შენობას დავიბრუნებთ. ჩვენდა გასაოცრად, მთელი ამ დროის განმავლობაში, ისინი არა მხოლოდ მოიხმარდნენ ჩვენს ნივთებს, არამედ წასვლისას ხელსაც გააყოლეს. ხალხიც ეს ყოფილა! ძარცვა, დღისით, მზისით. და ეს გახლავს შტაბი მეორე თურქული კორპუსისა.

17 January. Finally the headquarters is moving off. We will occupy our own building. To our surprise, not only have they been using our things all this time, but now, when leaving, they have taken things with them. What people! Daylight robbery. And this is the headquarters of the 2nd Turkish corpse.



1916 წ.  
1916

18 იანვარი. დღეს გამომძიებელი ჩამოვიდა. ექიმებსა და დებს კითხავს უკანდახევის შესახებ. იმ დღეს მთელი უფროსობა დაიმალა. ახლა გამოძვრენ, ყველა უფროსობს, ყველას ანგარიში უნდა ჩააბარო...

18 January. Today the investigator arrived. He is interrogating physicians and Sisters about the retreat. That day all the leadership was hiding. Now they have come out giving commands; everybody requires reports...





1916 წ.  
1916

ჩემი აზრი უკანდახევის შესახებ: ბრძოლის დროს წამოსვლა სწორი არ იყო. ყველა ექიმის ზნეობრივი ვალაია იქ ყოფნა, სადაც იგი სჭირდებათ. მაგრამ ეს მხოლოდ ზნეობრივი ამოცანაა, რომელსაც ადამიანი უნდა შეასრულებს, უნდა არა. სასამართლო ვერ დაავალდებულებს ზურვის ექიმს წინა ხაზზე მუშაობას, ეს ექიმის პირად ნებაზეა დამოკიდებული.

*In my opinion it was not appropriate to retreat during the battles. The moral duty of each physician is to be in the right place where they are needed. But this is only a moral task, which is up to each person whether to fulfill it or not. The court cannot oblige the physician in the support area to work at the frontline, it's up to their good will to stay there.*



ვერძიანნი მრავლობენ

ქარავანი  
CARAVAN

ჩვენი ექიმების უმრავლესობა სამსახურში განვეული სამოქალაქოები არიან. დასაწყისში სამხედრო სულს ვერაფრით ეგუებოდნენ. უკვირდათ, რომ პატივი და პატივისცემა ზოლებით განისაზღვრება. ნერვიულობდნენ და ვერ მუშაობდნენ. მაგრამ ბოლოსკენ მიეჩვივნენ ... და კარგად მუშაობენ. აღარც მთავარი ექიმის საყვედური ისმის: - ხელები ჯიბეებში, ასე არაფერი გამოვა ბატონო ექიმებო!

*Most of our physicians are civilians drafted into the army. In the beginning they had no conformity with military spirit. It seemed strange that honor and respect were determined by the number of bands. They were nervous and could not work. But towards the end they got used to it and worked well. And no reproaches were heard from the head physician like - "hands in pockets", dear doctors? This is no good!*



ქართველი, 1916 წ.  
THE KURDS, 1916

დების შესახებ ამდენს დაობენ და ლაპარაკობენ – აქვს თუ არა სარგებელი მათ ყოფნას ომში? შევეცდები მიუკერძოებელი ვიყო და გადმოვცე მათი საერთო განწყობა, რითიც უმრავლესობა ხელმძღვანელობდა, როცა მონაწილეების დად წასვლა გადაწყვიტა. მთლად წინა პოზიციებზე დების გავზავნა უსარგებლოა, მათ საქმეს იქ წარმატებით ახორციელებენ სანიტრები.

*There are a lot of discussions and arguments about how useful the Sisters are in the war. I'll try to be unbiased and say about their overall disposition, what made the majority of them go to the war as Sisters of Mercy. It is useless to send Sisters to the very advanced positions as the orderly men successfully do their job there.*



ქართველი, 1916 წ.  
THE KURDS, 1916

მაგალითად, მხარზე დატყრილის შემოგდება დას უჭირს, ზოგჯერ კი ეს ფიზიკურადაც წარმოუდგენლია. მაგრამ უკვე პირველი დახმარების პუნქტზე დების ყოფნა საკმაოდ სასურველი, ჰოსპიტლებში კი აუცილებელიც კია. იმ დების უმრავლესობა, რომელთაც მე შევხვედრივარ, მოხალისენი იყვნენ. ძალიან კეთილსინდისიერად მუშაობდნენ. მათი შრომის სარგებლობას ვერ უარვყოფ. ცოდვია მათი მხოლოდ ომის სამკაულად წარმოჩენა!

*For example, it is difficult for a nurse to shoulder the wounded or sometimes it's physically impossible. But at the refreshment station the presence of a Sister is quite desirable and of course in hospitals it is indispensable. Most Sisters, those whom I have come across, were volunteers. They worked very conscientiously. The usefulness of their job is undeniable. It is a shame to think of them as just of decorations of the war!*



ღეჰნილი  
REFUGEES

ნაწილი იმ გოგონათაგანია, რომლებიც მშვიდობიანობის დროსაც მუშაობდნენ, რათა ორი კაპიკით მეტი ჰქონოდათ ჯიბეში. და აი, რემინგტონზე ერთფეროვანი კაკუნისა და კერძო გაკვეთილებზე სირბილის სანაცვლოდ მათ წინაშე ახალი ჰორიზონტები გადაიშალა, ახალი ცხოვრება, ახალი შთაბეჭდილებები! მათვე მივაკუთნებ ვათხოვილ დებს, რომლებიც ასევე გაურბიან ნაცრისფერ, მოსაწყენ დღეებს.

*Part of these girls are those who had jobs in peaceful time and earned their living to have some extra money in their pockets. And now instead of monotonous tapping on "Remington" or rushing to private lessons, new horizons have opened up for them, a new life, new impressions! Married Sisters also belong to this category, who probably want to escape from their boring routine.*



დახვნილი  
REFUGEES

მაგრამ გვხვდებიან დები-ავანტიურისტები. ქალის ეს ტიპი ყველგან არსებობს. მათზე ლაპარაკიც კი არ ღირს, საბედნიეროდ ისინი ერთეულები არიან. სადივიზიო და კორპუსის მეთაურები მათ სადილად პატიჟებენ, მარხილებს უგზავნიან... მხიარულება, შამპანური! ისინი ისეთი ყურადღებით არიან გარემოცულნი, როგორც მშვიდობიანობისას ვერც კი იოცნებებდნენ. საცდური ნამდვილად არსებობს, ჩვენ კი მიმტევებლები უნდა ვიყოთ.


*Sometimes you can come across Sisters who are adventurers. They are not even worth mentioning, such types of women are ... everywhere. Fortunately, they are only a few. Chiefs of divisions and corpse are inviting them to dinner, sending sledges for them, giving them a ride, having fun, Champaign! They are surrounded with such attention that they have never dreamt of in peaceful time . It's all very tempting and so let's be lenient.*



მეჩეთი ბაიაჯეთში  
THE MOSQUE IN BAIAZET

მონაწილეთა და... რა ლამაზად უღერს! უმრავლესობა სრულიად შეგნებულად ეკიდება იმ დიადს, რაც დავალებული აქვს... როგორი მზუნველები არიან დები, რამდენი სირბილე და სიყვარულია მათ ხელებში. რა კარგები ჩანან ისინი ავადმყოფის საწოლთან! გული ნაზი და თბილი და ასეთი ძალა, ასეთი სურვილი შეჭირვებულთა დახმარებისა... .. ეს საოცარი ტიპი დისა საჭირო და სასარგებლოა ჯარისთვის.

*Sister of Charity... sounds so beautiful! Most of them have quite a conscientious attitude to that great mission that they have been assigned for... How much caring these Sisters are, how much love and tenderness there is in their hands. How nicely they look by the patient's bed, with such determination and desire to help people in need... .. Such a wonderful type of Sister is really necessary and useful in the army.*



1916 წ.  
1916

იანვარი, 1915 წელი. ხელში მაკვდება მეგრული ჯარისკაცი. ბევრს ლაპარაკობს იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, ღმერთზე. დალუპვის პირას მყოფი ხედავს ხსნას! მან შეძლო და დაამარცხა საშინელება სიკვდილისა, მაგრძნობინა დიადი ერთობა მთელი სამყაროსი: ნუ იქნები ბოროტი, სული ჩვენი უნდა ათბობდეს ყველაფერს, რაც კი მას შეეხება. ტანჯვა ზემთავგავონებს, გვაშორებს მიწას...

January, 1915. A soldier from Mengrelia is dying on my hands. He talks a lot about life after death, the God! He can see the salvation on the verge of death. He could defeat the horror of death! He made me feel the greatest unity of the world: our soul must be freed from cruelty and should warm whoever approaches it. Sufferings make us more spiritual and carry us away from our mortal life...





მდ. ევფრატის  
THE EUPHRATES

20 იანვარი. ჯანზე ვერა ვარ. სიცხე მინევს. ტიფი არ მქონდეს! დღეს მორიგე ვარ!  
30 იანვარი. ტიფი და თანაც პარტახტიანი!

20 January. I am feeling unwell. High temperature, I wonder if it is typhoid! And I am on duty today!  
30 January. Yes, that's typhoid, epidemic typhus!



სნისი, მუსლიმანთა ხაჯი  
MOSQUE BRIDGE IN KHSNIS

ომის სამი თვე:

გერმანელებს სურდათ ომში ჩაბმთა თურქებისა, რათა რეგულარული ჯარების ნაწილი კავკასიის ფრონტისკენ გადმოსულიყო. მათთვის მნიშვნელოვანი იყო თავიანთი მდგომარეობის შემსუბუქება ევროპულ ომის მთავარ ფრონტზე. დასაწყისში ბრძოლები იყო კეპრი-კეისთან (არზრუმის გზაზე).

*Three months of the war:*

*The Germans wanted that Turks got involved in the war to move the regular army to the Caucasus forefront. It was important for them to ease their position in the main front of the European war. In the beginning there were battles at Kepri-Kay (on the way to Erzurum).*



ხნისი, 1917 წ.  
KHNIS, 1917

უკვე მაშინვე თურქებმა მნიშვნელოვანი ძალები დაკარგეს, ოღონდ ეს უმნიშვნელო ბრძოლები არ აკამყოფილებდათ გერმანელებს, რომელთაც სურდათ თურქების ძლიერი შეტევა, რითაც თვითონ აირიდებიდნენ რუსული ჯარების უფროდაუფრო მეტ ნაწილებს... გერმანელები დაეხმარნენ ენვერ ფაშას შეტევის ოპერაციის შემუშავებაში. გეგმა ბრწყინვალე იყო... ბრძოლები თურქეთათვის წარმატებით მიმდინარეობდა. ენვერი გამოვიდა ზემო სარიყამიშზე.

*By that time the Turks had already sustained great losses but these insignificant battles did not satisfy the Germans, as they needed a stronger attack of the Turkish army to draw away a larger part of the Russian troops... The Germans helped Enver-Pasha to work out the plan of the attack. The plan was excellent... The Turks waged a successful battle. Enver reached the Upper Sarikamish.*



მარადიული ხსოვნა თავისუფლებისათვის მებრძოლთ. ხნისი 12.03.1917 წ.  
 ETERNAL MEMORY TO FREEDOM FIGHTERS. KHNIS, 12.03.1917

...მეათე კორპუსმა უწია სარიყამიშს და ჩვენს ჯარებთან ბრძოლებში ჩაება. აქ რუსულმა ჯარმა შეაჩერა თურქების შემოტევა და გაიმარჯვა. მაგრამ როგორღა აღმოჩნდნენ თურქები სარიყამიშში? კავკასიის სასაზღვრო ტერიტორია საკმაოდ ველური, მთიანი მიდამოა. ბარდოსის უღეტეხილი, რომელზეც გადმოდიოდნენ თურქები ისეთ მიუვალ ადგილად ითვლება, რომ რუსებმა მისი დაცვა საჭიროდ არ ჩათვალეს...

...The 10th corps reached Sarikamish, and started the battle with our troops. Here the Russian troops stopped the Turkish attack and gained a victory. But how come that the Turks occurred in Sarikamish? The near-boarder territory of Caucasus is quite a wild, mountainous area. The Bardos pass through which the Turks went is considered so inapproachable that the Russians did not consider it necessary to protect this part...



ხნისი, 1917 წ.  
KHNIS, 1917

... თურქების მთელმა კორპუსმა გამოიარა იქ, სადაც რუსების აზრით, ჯარისკაციც ვერ გადმოაღწევდა. ბარდოსიდან თურქები დაიძრენ სარიყამიშზე. ისინი პირველმა მესაზღვრეებმა სარიყამიშიდან ერთ ვერსში შეამჩნიეს. თურქები გადმოვიდნენ, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდათ. უმრავლესობა გაითოშა. 12 დეკემბერს მთის წვერზე, სარიყამიშის თავზე გამოჩნდნენ. იმ ღამეს უტყუარად ველოდით სიკვდილს...

...Turkish corps managed to go through the places which the Russians thought that a soldier would not pass through. The Turks made a move to Sarikamish. The first to notice them were frontier guards when they were already in a verst from Sarikamish. The Turks went through a hard pass and had to pay heavy price for that. Most of them got frozen. On 12 December they appeared at the edge of the mountain over Sarikamish. That night we were facing a sure death...




ფროკიტი მთავრობის დეკლარაცია, ხნისის გარნიზონი ფაზს ფისს 04.03.1917 წ.  
 DECLARATION OF THE PROVISIONAL GOVERNMENT. KHNIS GARRISON TAKING THE OATH, 04.03.1917

...ვიცოდით თურქული ჯარის მოქმედებების შესახებ და დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ყველას სარებზე დაგვსვამდნენ. მთავარი ექიმი იფიცებოდა, რომ თავის ხელით დახოცავდა დებს, მერე კი თავსაც მოიკლავდა. ამასობაში კი ღამე გავიდა, დღეც მიილია, ისინი კი არ ჩანდნენ. მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები და რაში იყო საქმე? როგორც მოგვიანებით შევითვქვეთ, ისინი ჩვენმა ქვემეხმა დააფრთხო...

... We knew about the actions of the Turkish army, everybody was sure that we would be impaled. The head physician was swearing that he would first shoot all Sisters and then kill himself. Meanwhile the day and a night passed but they were still nowhere to be seen. Fierce battles were going on. But what was the matter? Later we learned that our cannon had abashed them...






и схвативъ. Великую  
онъ пустился въ бой.  
Непоколебимо, но чувствовалъ  
у него есть связь съ чѣмъ-то  
болѣе важнымъ. —

Великая вещь бой!  
Человѣкъ предсѣдатель  
во всей своей красотѣ,  
въ величїи души! Онъ  
отрешается отъ всего  
личнаго во имя чего-то  
высшаго.

20 Января. Нездоровится мнѣ.  
Температура повысилась,  
но температура мнѣ! А. а  
слегка денатурная!

30 янв.  
Миръ, да еще война!



Январь. Улучшились на нашихъ рукахъ наши  
шарашки. Много говоримъ о земной  
науке, о Гюте. На край небеса будитъ  
спасеніе! Человѣкъ ищетъ неба, душа  
ищетъ жизни! Мнѣ кажется, что неба  
нетъ и не будетъ. Но мнѣ надо  
убѣдиться въ истинности своего  
существованія. Не думаю, чтобы душа наша  
испытываетъ кандаго кто-то изъ насъ  
испытываетъ. — Испытаніе одухотворенія  
человѣка ищетъ отъ жизни.

1316.  
Великая вещь война! Великая вещь война!  
Великая вещь война! Великая вещь война!  
Великая вещь война! Великая вещь война!  
Великая вещь война! Великая вещь война!

ფიურეზიონას  
FROM DIARIES

გამოხედვაში უძევს შურყეველი რწმენა, "ჩქარა ვადამიხვიე დაიკო, უნდა მივბრუნდე." ფერდი ნაჩქარევად შევუხვიე, დასწვდა შაშხანას და შერთო ბრძოლას. გაუგებარია, მავრამ გრძნობ, რომ მას კავშირი აქვს რაღაც დიადთან... .. დიადი რაშეა ბრძოლა! ადამიანი წარმოსდგება მთელი თავისი სულის სილამაზითა და სიდიადით! უარჰყოფს ყოვლევარ პირადს რაღაც დიადისათვის...

He had a wound in his side, I dressed him hurriedly and he, grabbing his gun, rushed back to the battlefield. It is hard to understand, but you can feel that he's driven by some supreme power... Great thing is battle! A man appears in all his glory and greatness of spirit! Rejecting all the private things in the name of something supreme...







ISBN 978-9941-0-7627-5



9 789941 076275